


მშენებელი გაბრიელ

იუმორისტ.
ქურონალი

№ 8

მ რ ი ფ ა რ ი



ორი ფარი, მრუდი ფარი,
 ურთიერთზე უტიფარი...
 ერთი, დაბეთ, ქედს იფარავს,
 ერთიც იმათ, ვინც იპარავს!..
 ორი ფარი, მრუდი ფარი,
 ურთიერთზე უტიფარი!

ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ იბეჭდება იუმორისტ. ლექსი „აღმზრდელა“ (დასასრული) — ეშმაკისა.

მ ა რ ც ხ ი.

(დასასრული)

ორი ღლე რჩებოდა კიდევ „სალამომდე“ და ეს ორი ღლე ნიადაგ მოსაგონარათ იქნება ჩემ ცხოვრებაში.

მე ვავხები ერთად ერთი ღერძი, რომლის ვარ-შემო ტრიალებდა მთელი ჩემი ოჯახის ინტერესები. თათოებულ ჩემ სიტყვას, ხელის განძრევას და სახის მოძრაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ყველა და ისე მაყურებდნენ დიდიან-პატარაიანა, როგორც თავიანთ სიამაყეს, საუცხოვო მერმისის მოციქულს..

„სალამოსთვის“ დაწერილი ჩემი სახუმარო ნაწყვეტი ხომ ყველამ ზეზირად იცოდა. ხან ერთი წამოძახებდა ხილმე რომელსამე ადგის ჩემი ესკიზისს, ხან მეორე და მაშინ ყველას მკერდიდან ვულკანით ამოსკვდებოდა გიჟური და თავაშვებული ხარხარი.

უმნიშვნელო და ყოვლად მოსაწყენი წარსული აღარავის ვგახსოვდა. ჩვენ თვალწინ იდგა ღამაზი აწმყო და ის მშვენიერი მერმისი, „სალამოს“ შემდეგ რომ მოგვევლინებოდა ჩემი ხელთუქმნელი გვირგვინისა და უღარდელი ცხოვრების სახით.

ოჯახის ეს საოცარი პარმონა, ვარდისფერ იმედით გაწუქებული, მხოლოდ უკანასკნელ დილას შეირყა ოდნავ.

მე ჩემი საკუთარის ხელით ვაუთოვებდი შავ შარვალს, რომელიც „სალამოზე“ უნდა მცმოდა. ოჯახის ყველა წევრი გარს მეხვია და აღტაცებულის გრძნობებით აღევნებდნენ თვალს უთოს ყოველსავე მოძრაობას.

— ყველაფერი რო გშვენის და გიხდება! — მითხრა ცოლმა:— აბა რა შენი საქმეა ეს უთოობა, მაგრამ დახე, როგორ კობტათა და ადვილათ მოგდის ხელში! საკვირველი კაცი ხარ, სწორეთ!

— იცი, სოფიკო, — შევნიშნე მე: — ეს უთო ხომ მე მგავს!

— როგორ, როგორ?... როგორ თუ შენა გგავს?... ავეიხენი, თუ ღმერთი გწამს! — გაისმა ირგვლივ ხმები.

— დიად, ეს უთო მე ვაწმუნებ, ნაკვერჩხალი, რომელიც ამ უთოს ასურებს — ჩემი შინაგანი ცეცხლი, ანუ ნიქია. ეს შარვალი კიდევ ჩვენი საზოგადოება. უთოს სიმბურვალე ცოტა არ იყოს სწვავს შარვალს, მაგრამ ამავე დროს ნაოქებს უსწორებს და აღამაზებს.. ასეთივეა ჩემი იუმორისტული ნიქი, რომელიც ხაზოვადობის წყლულებსა სწვავს და შემდეგ ამრთლებს, ჰკურნავს!

— ვაშა, ვაშა, ვაშა! — ერთხმით შემძახა ყველამ და ოთახში გულღიანი სიცილი გაისმა.

— მიმიკო დღეს უკანასკნელი აუთოებს შარვალს, — ეშმაკურის ღმილით წამოიძახა ჩემმა საშვალო ქალმა.

— რათა? — ჩავეკითხეთ ყველანი.

— „სალამოს“ შემდეგ მას აღარ დასჭირდება შარვლის საკუთრივ დაუთოება.. სხვები დაუთოებენ!

— არა, შვილო, ვუპასუხე მე. — შენ კიდევ ვერ გიცნიავარ კარგათ. მამა შენი ისეთი კაცი არ არის, რომ კეთილმა ყოფა-ცხოვრებამ მას პატიოსან შრომაზე ხელი ააღებინოს.


ყველამ აღტაცებით შემომხედა, საშვალო ქალის თვალები კი ამას მეუბნებოდა: მამაკეთე, მამი, სულელური სიტყვები: მე არ მინდოდა შენთვის მეწყენინებია..

— მე გგონია, შენ რუსულ პრესაშიაც უნდა დაიწყო თანამშრომლობა, — მითხრა ცოტა ხნის სირუმის შემდეგ ცოლმა და სველი ტილო მომაწოდა შარვლისათვის ნაკვლიათ გამშვარლისა, რომელიც მე ვადავუცი.

— არა, ჩემო სოფიკო, ვუპასუხე მე: — რუსულ ჟურნალ-გაზეთებს გადაჭირლ უარს ვებტყვი თანამშრომლობაზე — დამიქი, გეთაყვა ეს როტი და ოდნავ მოსწიე შენკენ — მე ქართველი კაცი ვარ, და თუ ღმერთსა და ჩემს ხალხს ჩემთვის რაიმე ნიქი მოუმაღლებია — კმარა, გაუშვი ხელი — ეს ნიქი მხოლოდ ჩემს ხალხსვე უნდა დაეუბრუნო.

— ეგ ვერაფერი ჰკუაა, შვილო — ჩაერია დედაჩემი. შენს ნიქს განა რა დაკლებდა, რო ცოტა რუსულადაც სწვირო... უთო გაგიცვდა მეგონი, დედა.. და ერთი ორი გროშით მეტი შემოიტანო ოჯახში.. ეხლავე ნაკვერჩხალს მოგიტან.

— თუ ღორი შევიჩი და აღექსანდრე იაბლო-



ნოესკი ათი ათასობით ბოკვენ, შენ ვითომ რა ხარ, რომ მიინცა და მიინც ლატაკ ქართულ პრესას შეაკედვ, — ცოტა გულნაწყენათ მითხრა ცოლმა.

— ყველაფერს შემოსავლიანობის თვალსაზრისით როდი უნდა უუქრო, სულიყოჯან, ვუთხარი მე და უთოს თავი ახვადე ნაკვერჩხალის ჩასაყრელათ. მართლა, ნიჭი კარტოფილი ან კომბოსტო ხომ არ არის, ვინც მეტს მოგცემს — იმას მიჰყილ!

— მერე შენ განა ნიჭსა ჰყიდი?! მუხლის თვლებს უფრო დასველება უნდა, თორემ არ გასწორდება... ნიჭს კი არა, ნიჭის ნაყოფსა ჰყიდი. ნიჭი კი... დახურე უთო... ნიადაგ შენთან რჩება განუყრელათ...

— სოფიკო მართალს ამბობს, შვილო. შენ რომ კვირაში ერთხელ რუსული რამე დასწერო, განა ამით შენს ნიჭს რა უნდა დააკლდეს? — კვერი დაუტყრა მამაჩემმა და სული შეუბერა შარავალზე დაცვიულ ფერფლს.

— ჩემს ნიჭს მართალია არა დააკლდება, მაგრამ — მოიტათ სველი ტილო — საქმე პრინციპია... ხომ გახსოვთ ილია ქავეჯავისი „იანიჩარი“, „ნეტა, ვისთვის შენ კისკისობ?“ რათ უნდა ვაკისკისო მე ჩემი ნიჭი ჩემთვის უცხო ხალხისათვის?!

ჩვენი დავა თანდათან მწვავდებოდა. მეც და ჩემი მოპირდაპირეებიც ჰოლემიკურმა ეჩნმა აგვიტანა და ვინ იცის სანამდე მიაღწევდა ჩვენი გაცხარება, მაგრამ სწორეთ იმ დროს როდესაც ჩემი პრინციპის საფუძვლიანობას ჭაშკარა მავალთებით ვამტკიცებდი, უეცრათ უთოს სახურავი ავირდა და გაეფარებულნი ნაკვერჩხლები შარავალზე დაცვიულა...

ინციდენტი იმით გადავდა, რომ დაუთოებულნი შარავლი სამ ადგილას გამოიწევა, ხოლო ჩემმა ცოლმა, უმცროსმა ქალმა და მამაჩემმა, ყველამ ერთათ შეიდი თითი დაიწვეს...

თუმცა მატერიალური ზარალიც და ფიზიკური ტრევილებიც საგრძნობელი იყო, მაგრამ ჩემი წასვლის დრომ რომ მოაღწია, მომენტის სიღიაღმე შემეცვლია და მათგან დაიშორე. — მისისათვის ხომ მზათა გაქვს? მკითხავდა ცოლი, როცა მივიღილე.

— ფიჭი ნუ გაქვს — სამი რამ დავამზადე მისისათვის.

— შვილო, ხომ იცი, როგორ ვლენავით: გა-

ათავო თუ არა შენი საქმე, მაშინვე წამოდი! — მითხოვდა დედა.

— მაგის პირობას ვერ მოგცემთ... დარწმუნებული ვარ, არ გამომიშობენ და „სალამოს“ შემდეგ ვახშამს გამიმართავენ...

თეატრში რომ შევედი, დარბაზი ხალხით გაქვდილიყო კიდევ. ტარიელ ცანკარაშვილის საქციულმა ცოტა არ იყოს გამაგვირვა. ჩემთან სახლში რა თავაზიანი იყო და როგორ გულწრფელათ მევედრებოდა „სალამოში“ მონაწილეობის მიღებას, აქ კი, რომ დამინახა, ჯერ ვერც კი მიცნო, მერე — „კულისებში მიბრძანდით, ბატონო თავუნია“, ავღლებულათ მომამახა და სწორეთ იმ ღიმილით, მე რომ იმ დღეს მომხმბლა, ვიღაც პირაგაბარსულ კაცს მივარდა, მდამლათ თავი დაუტყრა და მოკრძალებით წამოიყვანა კულისებისაკენ. შემდეგ გამოირკვა, რომ ის კაცი ერთი მონაწილეთაგანი იყო, მომღერალი ტენორი.

კულისებში რაღაც მარტოობის გრძნობა განვიცადე. არავინ ყურადღებას არ მაქცევდა, ყველა ფაცი-ფუცში იყო და ჩემთვის არ ცხებოდათ, შიამში ჩემი იუმორისტული ნაწყვეტი რომ ჯიბეში მელთა აბა რა უნდა მქონოდა საზრუნავი!

უშველოს ღმერთმა, კავსამის ხოროს ერთი მომღერალი გამოემლაპარაკა და, ცოტა არ იყოს, გამართო კიდეც.

— თქვენ საღაც მინახიხართ, ყმაწვილო, — მითხრა მან: — ხარფუხის კლუბში ლოტოს ნომრებს ხომ არ ყვირით ხოლომე?

მე გამეცინა.

— არა, ბატონო, — ვუპასუხე მე: — მე იუმორისტი ვახლავართ, თავუნა.

— რა სასაცილო გვარი გქონიათ — „თაგუნა“! — გაიმეორა მან და გაღიხარხარა.

— „თაგუნა“ გვარი არ ვახლავთ, თავუნა ფსევდონიმი!

— „თაგუნა ფსევდონიმი“ — გაიმეორა მან: — მეგრელი კოთილხართ?

— როგორ თუ მეგრელი? რათ ფიჭობთ ეგრე?

— „ია“ — ზე მეგრელების გვარი თავდება.

— მერე თქვენ ჩემი გვარი საიდან იცით?

— თქვენ არა სთქვით — „ფსევდონიმი“.

მე სიცილი ვერ შევიკავე: ჩემს მობასეს „თაგუნა“ სახელი ეგონა, „ფსევდონიმი“ კი გვარი!

— თავუნა, თავუნა, თავუნა!— მოისმა ამ დროს ძახილი:— სად არის თავუნა? რომელია აქ თავუნა? თავუნას გამოსვლა!

— მე ვარ თავუნა!— დადიხებე მე და ძლივს ვიცანი ჩემი ხმა, ისეთი უცხო და რალაც ყრუ იყო.

როგორ გაგზნდი სცენაზე აღარ მახსოვს. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა განათებულ რამბას მივადექი. კიდევ კარგი რომ დროზე შევჩერდი თორემ ისე არეული ვიყავი მოულოდნელობისაგან, რომ სულ ადვილი შესაძლებელი იყო, რამბაზე გადამელაჯებია და გადავჩემილიყავი.

გონს რომ მოვედი, ელვის სისწრაფით თვალწინ დამიბდა ჩემი მდგომარეობა, მოვიკრიბე სულიერი ძალა და ჩემი ესკიზის კითხვას შევეუდექი. მაშინ დამიბრუნდა გაბედულობა და სრულიად დამიმშვიდდა გული.

იმ ადგილამდის რომ წავიკითხე, საცა მაცურებელთა სიცილი უნდა ატეხილიყო, შევჩერდი. დარბაზში სიჩუმე იყო. მე მაინც დავისვენე ცოტა და გავიფიქრე, ვინ იცის იქნებ ასე სჯობს, თავიდანვე რომ სიცილი დაეწყოთ, მზიარულება იქნებ ბოლომდის არც კი ყოფნოდათ მეთქი და განვაგრძე კითხვა.

მეორე დასასვენებელზე რომ მივედი კვლავ შევჩერდი და დარბაზს გადავავლე თვალი. ისეთი სიწყინარე სუფევდა, რომ თეატრის დარბაზს ეგვიპტეს ფარაონთა სამარხი გეგონებოდა და, როგორც მუმიემი არ ვაიციანებენ იმ სამარხში, ისე აქაც არაფერ იცინოდა.

ცოტა არ იყოს აბრუ გამიტყდა, მაგრამ მაინც განვაგრძე კითხვა და მესამე დასასვენებელზე კიდევ

შევჩერდი. იგივე ღუმილი მეფობდა. ვილაც ორი წყვილი ქარაფშუტა ქალ-ვაჟი ზიოველ წყებაში წამოდგა და გასასვლელ კარზისაქენ გაემართენ. მათი ქუსლების რაკარუკი ისე ჩამესმა ამ სამარხსებურ სიჩუმეში, როგორც ჩაქურის ცემა, როცა კუბოს სახურავს აქედენ საფლავში ჩაშვების წინ.

მხოლოდ მეოთხე დასვენებაზე შევესწარ თვალი რომ მესამე წყებაში ერთი მარლიანი სახის ახალ-გაზდა კაცი იღიმებოდა.

— ერთი კაცის ინტელიგენტური ღიმილი მირჩევნია ათას კაციან ბრაის ვულგარულ ხარხარს,— გავიფიქრე მე და გაორკცებულნი სიმბნევით განვაგვიძე კითხვა.

მაგრამ ამ დროს დაინახე, რომ ის ჩემი მარლიანი ახალ-გაზდა სისწრაფით წამოაღდა, ხელი გაუშვირა გვერდით მჯდომ მშვენიერ ქალს და წაიყვანა. ქალი გზაში რალაცას უჩურჩულებდა ყურში და ის ყმაწვილიც იმავე ღიმილით უღიმოდა, მე რომ წებან შევამჩნიე. ეხლა კი მივხვდი, რომ ჩემი საქმე აღარ გამობრუნდებოდა. ხალხი ნახევარზე მეტათ აიშალა და წავიდა.


სიმწრის ოფლით გავიღვარე თავიდან ფეხებამდე და ხმა ჩამიწყდა...

შინ რომ დავებრუნდი, უპირველეს ყოვლისა შარვალი გავიხადე, გადავუდგე ცოლს და დავუძახე:

— თუ ღმერთი გწამს, ეს შარვალი დღეისა მიერ აღარ დამანახვო!

ჩემი ოჯახის წევრები თავ-ჩალუნულები ისხდნენ. კუთხეში ცოლის ყრუ ქვითინი ისმოდა.

თავუნა.



პატარა ფეკეტონი.

თბილისელების ლილინი.

თბილისი თოვლმა დაჰფარა—

დაგვიდა მკაცრი ზამთარი,

(დალოცვილ ბუნებას-კი
არეული აქვს დავთარი)

მთელი თვე მზე არ გვიანახავს,

სუსხი არის და ავდარი,

(მაგრამ სიცივეს ვინ ჩივა

რა კი გვაქვს თავ-შესფარი):

აზრუმი ჩვენს ხელში არის —

ახლოს ვერ მოვა თათარი,

(სულს კი გვხდის შინაურები,

ნადირზე უფრო აფთარი).

მთელი ქალაქის ჩარჩებმა

წამოიყარეს ფაფარი,

(ნიხრი და ტაქსა იმათთვის

ძილის-პირია, ზღაპარი!)

ჩვენი საქმელი პური-კი—

კომია, ცეცხლზე წამთბარი

და ხორცი, მხოლოდ კამეჩის,

(ისიც ძვალ-ტყავით გამთბარი).

ღვინოს დღეს იგიც ვერა სვამს—

ვინც რომ მოხვეტა „ქანქარი“ *),

წყალი (ჩაისთვის) ბევრი გვაქვს,

მაგრამ საღ არის შაქარი!!!

ამ სიძვირეში გახშირდა

მრუდი სასწორი, ყანთარი!..

(ჰოი, დასწყველას ეშმაკმა—

დროება ასე წამთბარი).

მთა-წმინდისაკენ წავედი,

(იქ საქმე მქონდა პაწია),

ვეძინის ქუჩის ბოლოზე

ვიხილე გაწა-მაწია!

*) იგულისხმება ამ სიტყვით

გაუმადლარი ვაჭარი—

მილთვი, ადელანოვი

და სხვები მათი ამქარი.

მა—ნი.

კაცებთან თოვლა-ბურთობდენ

მანდილოსნები კვანწიათ

ჩემს დანახვად ერთზე

ყველამ ხელები ასწია,

დასძახეს:— ეს ვინ მოსულა

ვილაკა უცხო კაცია,

(თავზე ცილინდრი ახურავს

და ტანზე პლაში აცვია!)

დამცხეს— იმ რიგით ჩემს დღეში

მე არაფერი ამწვია,

(გვერდები დამილილავდა,

განზე მომეგრა დაწვია!)

ისეთი მძლავრი საკრავი

არც ქვა მინახავს, არც ტყვია,

(გადავჩიი, მაგრამ თემოზედ

ახლაც სილურჯე მატყვია).

მოკუტრცხლდე, თავსა ვუშველდე,

(გადაუხვიე განზედა),

იქაც კი ორი ბარიშნა

გადმომდგარიყო ბანზედა!

თოვლის გუნდები მოპკრიბეს

იმით ჩემს დანახვაზედა,

გადმომკრეს, გამიჭულილეს,

ერთი მომარტყეს ყბაზედა.

იქვე უგრძობლათ დავეცი

მე „ტროტუარის“ ქვაზედა,

(ქალები მსხვერპლს არ დარდობდენ

თვლი ეჭირათ სხვაზედა).

ერთი საათის შემდგომათ

ძლივსღა მოვედი ქვაზედა

და წამოვდექი, (თუმცა კი

სუსტად ვიყავი ჯანზედა).

ქუჩაში თოვლის ბურთები

წალმა-უკულმა ცვიოდა,

მგზავრები იგინებოდა,

წუწუნებდა და სჩიოდა;

ბარიშნები კი „შრომობდენ“,

(თუმცა ხელეებზე ციოდა,

შინით კი— ოფლი წურ-წურით

კუნთებზე ჩამოზლიოდა!)

სამოსი შემოლოუმოდათ,
 სიმწრის ცრემლები სცივოდა,
 სხვა საქმე მათ არ უნდოდათ,
 (არც თუ საქმელი სზიოდა).
 იმათ სახეზედ სიამის
 რალაც ღიმილი სქვივოდა!..
 (მე კი—გვერდები მეწოდა
 და ყბის ძვლები მტკიოდა).

რამ შეახურათ ნეტავი
 ეგ ნორჩნი „მადმაზლები“
 (სხვებს სცემენ, თითონ არიან
 თეძოებ დასახელები)

დავეში თავდაღმართისკენ
 მე მათგან განახელები
 და შემდეგ ლოგინათ გწევარ,
 განაცოვ-განაცხელები.

ღამ-ღამით მელანდებიან
 მათი მკლავი და ხელები,
 ძილს მიფთხობს, (თუ არ გავვიძლი,
 და არ დამჭირდა მცველები),

მომავალ კვირას ვიმღეროთ
 ამბები, აწინდებლები...

(ოი, წაიღოს ეშმაკმა
 ქალები მთა-წმინდებები).

მათრახოსანი.



№ 47 *საქართველო*
ბიულეტენი

სწორედ არ ვიცი, დავემდლო თუ ვუსაყვე-
 დურო ჩვენს ლაღოს, რომელმაც მომიხერხა და
 შიო მღვიმელის დიღაზე თეატრში უბილეთათ შე-
 მიყვანა (ბილეთებს ვეღარ მივეუსწარი—სულ გაყი-
 დულიყო).

— ეს ხომ კარგი—შემოვედი, მაგრამ ალაგი
 რომ არსად არის, სად უნდა დავჯდე?—კვითზე
 ჩვენს ლაღოს, თეატრში რომ შევედი.

მაგრამ ჩვენი ლაღო რისიღა „ჩვენი ლაღო“
 იქნებოდა, თუ ასეთ მკირე დაბრკოლებასაც ვერ
 შემოუვლიდა.

— ფიქრი ნორაფურისა გაქვს,—მითხრა მან:
 გასწი ჩქარა და ორმოკდამეშვიდე სავარძელში
 ჩაჯექ არხეინათ.

— გმადლობ, მაგრამ—ვთქვით მოვიდა ეგ 47
 ნომერი, მაშინ ხომ არხეინათვე უნდა წამოვდ-
 გე?

— ეგე, ნუ გააჭირე, კაცო, საქმე! რომ არ
 ვიციოდე, განა გეტყვიოდე 47 № არ მოვა.

— შენ რა იცი?

— სჩანს, ვიცი.

— ვისიო ეგ ორმოკდამეშვიდე სავარძელი?

— „შმაკის“ წარმომადგენლის... გასწი ჩქა-
 რა, თორე მუორე განყოფილებასაც ვეღარ ნახავ,
 წადი—რალა!

წავედი. მოვინახე ორმოკდა მეშვიდე სავარძე-
 ლი, „არხეინათ ჩავჯექი“ შიგ და აქეთ-იქით მი-
 ვიხედ-მოვიხედე: მარცხნივ „საქართველოს“ წარ-
 მომადგენელი მეჯდა, მარჯვნივ კიდე „სახალხო
 ფურცლისა“.

„კარგი ადგილი კი შეუნახავთ „შმაკისა-
 თვის“—გავიფიქრე მე და უცებ მიცდურმა აზრმა
 გამიელვა თავში. ეს აზრი ისეთი სასაცილო იყო,
 რომ ძლივს შევიკავე თავი, რომ ხარხარი არ და-
 მეწყყო.

„მერე გარემოებაც რომ ხელს მიწყობს—
 განვაგრძობდი ფიქრს:—გარეგნობით სომეხსა ვგე-
 ვარ, და ვერც ერთი ამათგანი მე პირადათ ვერ
 მიცნობს, ჩინებულია“, და შევეუდექი ჩემი აზრის
 განხორცილებას.

— ლუსნიაკ გიშე-ერ, ბოლოროვი ინ კუნჩუ-
 ნე-ემ,

ინს ღესნოლა-ა კარწუმეთეთე ტუნჩუნემ, ვი, ტუნჩუნე-ემ...

დავიწყე მე ღიღინი ნელის ხმით, ისე კი რომ ეს სომხური სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა არც კი ვიცო, ჩემს მეზობლებს გაეგონათ.

„სახალხო“ წარმომადგენელმა ჯერ ზოლით შემომხედა, მაგრამ როცა შეაჩნია, რომ მეც ვუყურებდი, სახის გამომეტყველება მყისვე შესცვალა და გამოიღმა ისე, როგორც კეთილ მეზობელს შეგფერის.

„საქართველოს“ წარმომადგენელი კი გველნაკებნივით შეხტა, გაბრაზებული სახით მოტრიალდა ჩემკენ და აღშფოთებულის ხავილით მომამახა ქართულათ:

— როგორ ბედავთ აქ სიმღერას?... თუ სიმღერის გუნებაზე ხართ, კარში მიბრძანდით... ეს უზრდელიობა!..

— ინჩი?—აღერსიანათ ჩავეკითხე მე.

— თქვენ აქ ეჩმიაძინი ხომ არა გგონიათ, ვაჟ-ბატონო? მაგ „ინჩებს“ თავი დანებებთ და კაცურათ შელაპარაკებთ, თორემ...

— ინჩებს? გავუმეორე მე, რადგან სხვა არაფერი ვიცოდი სომხურათ.

— Вы по-грузински не понимаете?—ზრდილობიანათ მკითხა „სახალხო“ და გამიღმა.

— НЕТЬ!—ვუპასუხე მე.

— Вашъ сосѣдъ возмущается нескончаемой рѣчью этой дамы (იმ დროს თელაველი სუფრაჟისტი მანდილოსანი ამბობდა თავის გაუთავებელ სიტყვას).

— შენ, ეი!—შეუბღვირა „საქართველომ“ „სახალხოს“:—თუ არ შეიყობა გინდა ამ უზრდელ კარაბეტასთან, ისევ შენს ვაზეთში ეარშიყე, რო. გორც გჩვევია! ეხლავე ვადაუთარგმნე რუსულათ, რაც ვუთხარი!

„საქართველომ“ რუსული თუმცა იცოდა, მაგრამ უცხო ენას „პრინციპიალად“ არ ამბობდა.

— რას ამბობს? ვკითხე მე რუსულათ „სახალხოს“:—ვიღაც კარაბეტა ახსენა მგონი:

— კარაბეტა... ღიბ... კარაბეტა ჩემი სახელი ვახლავთ,—ღიბნა—ის ეგ ამბობს, ძალიან ენა-ნობ, რომ სომხური ენა არ ვიცო.

ამ სიტყვებმა „საქართველო“ მთლად გააბრაზა. სამჯერ აღდა და დაჯდა, თვალები აქნთო, გაფითრდა და ჩემი სივარძლის სახელურს დააწვა ქშენით.

— განა თქვენ სომეხი ხართ? ვკითხე მე „სახალხოს“, რადგან კარაბეტა ვიცოდი...

— არა, მე ქართველი ვარ... ჩვენში ხშირათ შეხვედებით სომხურ სახელებს. აი ამასაც—„საქართველოს“ წარმომადგენელს მიუთითა—ამ ბარცუმა ჰქვიან სახელათ,—შესტოპა თავისებურათ „სახალხო“.

— თქვენ რუსული არ იცით, ბატონო ამ ბარცუმ?—დაეყვებით ვკითხე „საქართველოს“, მაგრამ ამ კითხვაზე მან მხოლოდ კბილების კრაქუნით მიპასუხა.

— იცით, ბატონო კარაბეტა,—მივუბრუნდი ისევ „სახალხოს“, მე სიამოვნებით ვასწავდი სომხურ ენას ბატონ ამბარცუმს, თუ მოისურვებს.

„ამბარცუმამ“ ვედარ მოითმინა, ელვის სისწრაფით წამოვარდა ზეზე და კარებისაკენ გაეშურა.

— რათ ვავიდა?—ვკითხე „სახალხოს“.

— რას ჩამაცვიდა ეს უტიფარი სომეხი, დასწყველოს ღმერთმა მაგათი მოღმა,—გადაულაპარაკა მან გვერდში მჯდომ ჩერქეზულათ ჩაცმულ კაცს, შემდეგ ღმილით მომიბრუნდა მე და მითხრა.

— მგონი ცუდათ შეიქნა, ავთაყოფი კაცია, უნდა წავიდე, ვუშველო.


ისიც რომ ვავიდა და მარტო დარჩი ისეთი სიცილი წამსკდა რომ, მსახიობ ივანდის (მაშინ ის იყო სცენაზე) ხმააც ძლიერ დაჰფარა.

განყოფილება რომ გათავდა, სისწრაფით მოიქრა ჩემთან ჩვენი ლაღო და სხაპა-სხუპით მომახალა.

— ჩქარა ვასწი აქედან... შენი საქმე ცუდათაა... რეები ჩავიგინე? ბაღლი ხომ არა ხარ? წადი ეხლავე; თუ გინდა თავ-მრთელი დარჩე.

მართალი გითხრათ, შეემინა და მაშინვე გავიპარე.

ნაბუქოდონოსორ.



ჭეშმარიტი ქრისტიანი.



პოლიციელი. მე შენ ეხლავე ოქმს შეგიდგენი.. ბოქვას წყლით ავსებ და შემდეგ ღვინოთ გინდათ გაასაღოთ?

ხირაჯი. შენ ქრისტიანი ხარ, თუ ურია, ჰა?

პოლიც. როგორ თუ ქურია? რას მივდ-მოვლები?

ხირაჯი.


პოლიც.

ხირაჯი. არა, ჩემმა მზემ. აი ყური მივდე: განა ქრისტე არ იყო, რომ ქორწილში წყალი ღვინოთ აქცია?

პოლიც. მერე?

ხირაჯი. მერე და მეც იმასვე არა ვშვრები? მე ვიცო, პოლიციელი რომ შესწრებოდა, იმასაც შეუდგენდა ოქმს! ვაჰ, ეს რა დრო დაგვიდგა და!

ბეჯითი არქეოლოგი.



- უმაწვილო, რას სწაინბართ?
- ვერა ხედავთ, ძველ შარვალსა ვყიდი!
- ნუ ინებებთ, თუ ღმერთი გწამდეთ! ეს ისეთი სიძველეა, რომ არქეოლოგიურ მუზეუმს დაამშვენებს... შესწირეთ თუ გინდათ საუკუნო სახელი მოიხვეპოთ.

გურული სცენა.

ჩემი გასაჭირი.

ეი ვახ ჩემს მოსწრებას! რა დროს მომსწრე და დროში ვცხოვრობ! ახი და მართებულია ჩემზე რაც სივე დამეპარებება, რამ გამოამაყურებია ვითამ ქვეყანაზე, კას ვხედავ რამეს თუ კას ვყურობ, ახლანდელი დროის იმედი მაქვს თუ უკეთეს მოველი. თუ გინდა ქვეც მელირსოს უკეთესი დროი და ბორჯი მერე რათ მინდა! საქმელი ვიშონო კბილები აღარ მაქვს; დუღუღამელი ვულაპო კუჭი ვერ ინელებს; ვილა შემომხედავს, ვილას რაღა ჯანაბათ უნდებვარ, ყველის ბიძიეი და ბაბუაი მშვიქენი,

ამფერი სიციცხლე, აკაკის არ იყო, გინდა იყო და გინდა არა.

კაცს ხომ მიწის მეტი ამფერი გააძღვს, თვარა საყველური რავა მეთქმის ჩემი არჩივი ქვეყანა ავით იყო თუ კარვად ქე მოვქამე და სხვის არჩივს მე ვინ დამანებებს. რა არ მახსოვს, რას არ მივესწარი. მახსოვს აზნაური რომ გეიჯგიმებოდა საყდარში ერთ ადგილს, კაი ბიჭი იყავი და გვერდში ამოსდგომოდი, ან ვინ იყო ცხრა თავიანი აზნაურის მიჩნეილ ადგილზე გიებუდა დადგომა. მახსოვს საყანული მოსავლის ნახევარი ჩენი ზურგიით უნდა მიგვეთარაქა აზნაურიზა და ნალიაში უნდა ჩაგვეყარა. საღვერობო სხევი იყო და მოულოდინო გულის მოსალზობი კიდევ სხევი. მახსოვს ზარით ტირილი, სულის ახსნა, გამოტირილი, საკურთხი, სხვა და სხვანაირი წირვა: ნაწყევარი, ნაფიცარი, სასახლის კაცი, საეტლო, სამღრთო, გადანაცემარი, თავშემონარებები: ვკლავდით: ცხვარს, ტახს, სახლის მამალს, თხას, ხარს, მოზვერს, კლამახს, სისხლიანს და უსისხლოს, ვაძღვდით ხუცებს, პრიენდნიკებს და ღიავენებს, ვაძღვდით, ნაწირავს ვაძღვედით და ღვთის შესაწირავის მენახვერეც იგინი იყვენ, ნახევარი არჩივით შინ მიქონდენ. მახსოვს მამასახლისის დიდკაცობა, მწერლის ყორიფელის შემღვლებლობა, პრისთავის მათარაზები.

მახსოვს მეიშლა ყველი კონდახში: აზნაური ფიციულობდა გლეხი ვარო, მღვდელი ჩაქურას იცვამდა, მამასახლისი ხალხს უჩოქებდა, პრისტავი „ნაგულას“ ყიდილობდა—ჩენ ვიციროდით იგინი ტიროდა. ნეტა მაშინ ამომხთენოდა სული, საიქიოს კას ამბავს წვევილებდი.

მერე კი კები შებარუნეს—ჩენ ვტიროდით, იგინი იციროდენ, ჩენი სახლი იწობოდა იგინი ხელს ითბობდენ.

მახსოვს კირილოვი, ტალმაჩოვი, ერმალოვი, ზაკუსოვი, მიქიაშვილი, კალანდია, კუხალია, მენაბლია, კვეკელია და სხვები. მახსოვს რაფერ ბრდღინავდენ, ვინ იფიქრებდა, თუ მაგინი ვეიშლებოდა, ვინ დღეიჯერებდა თუ სხვების დამქირავებს გაძარავდენ—არ მეგონა მარა ამასაც მივესწარი—სხვების ციხეში ვაგვზავენელი ციხეში ვნახე და ბევრს კიდევ ვნახე. მარა აგი სულ აფერი არაა, ყველაზე უფრო მე სხვაი მიკვირს და მაყურყებებს. ყორიფელს დევიჯერებდი, ყორიფელს წარმოვიდგენდი მარა იმას ვერ დევიჯერებდი, თუ ოზურ-

გეთის ქანდარის ხალხი მიეწოდებოდა და იგინს გასავალი აღარ ექნებოდა.

„მოეყარათ თავი ქადართან
თუ რამე წამოგვცდებოდა
ქე მიქონდენ ჯანდართან“.

ასეთი იყო ქადრის ხალხი, მათ ნება სურვილზე იარებოდენ ვეზლის ნაჩინკები და პრისტავები, იგინს უჯეროდა ავინის უფროსებიც. ქადრის ქვეშ გადაწყდებოდა ვინ დიეჭირათ, ვინ გადიესახლებიენ, ვინ გამიეგდენ სამსახურიდან, ერთი სიტყვით ქადრის ხალხს შეიძლოა წყალი აღმა წიეყვანა და მუხიხა ვაშლი გამოეხსა. დიდხანს ბატონობდა ქადარი, დიდხანს იყო იგი გურიის უფროსების უფროსი და არც მეგონა თუ გურია ელირსებოდა ქადრის მოშლას, მარა მოხდა სასწაული. ქადრები ქეა კიდევ იქინეი სადაც იყო, იმის ქვეშ ახლაც იყრიან თავს, მაგრამ ახლა ძველ დროს მისტირიან, მათ გადაწყვეტილებას არავინ უყურებს. ქადრისტები ამბობენ ქეეყანა დეიქეევა, ყაზილარები ისევე დავგაჯდება თავზეო, მარა გამგონი არავინ არის. ვაი ჩვენ დღეს და მოსწირებს თუ დასურ დეიქეა ქეეყანა, რა ეშველება გურულებს ღმერთმა რომ ქადრისტების თავი გეთხოვოს. მაგ საშინელ დროს ღმერთმა მე ნუ მომასწრას და თქვენ კიდევ ვარესსაც მოეყარით თუ გინდებიან.

პიტნა.



მესტვირული.

(ბათუმისათვის)

დაუკარ სტვირი, ქამანჩავ,
დაუკარ ნელა-ნელადა,

დაუკარ, დავალიდინებ,
როგორც ვიცოდი ძველად
ზოგისთვის გულის მარცხად
ზოგისთვის აღმთერენადა.
ვხედავ უშენოდ ვერ ვარგვარ,
ვერსადა, ვერაფერადა.
შენა ხარ მკურნავი,
შენ მყავხარ გულის ღხენადა.
დაუკარ, რაკი მოვედით
ბათუმის დასაზვერადა,
პირველ ბლიკვამეს ვესტუმროთ,
ვერ ვინ სჯობს მასპინძელადა,
ძველ ამბებს გვეტყვის, კარგ ამბებს,
ვარგა ზღაპრების მიქმელადა!..
უთხრათ, აილოს მანც სტვირი,
გამოგვეყვს გზა გზა ნელადა—
რომ ორ მესტვირეს ტუყებით
მტერმა შერბელის ძნელადა...
კოლაპერატის მივადგეთ,
მის გამგეობას ხელადა,
(თუშეა ეს დიდი საქმეა
და ძნელი გასაბედათა)
ზოგსა პაწიას ზომითა,
ზოგსაც დანაყულს გქმელადა...
უთხრათ: ბატონო გამგეონო,
თავი რომ მოგაქვთ ბრძენადა...
მარტოკა შრომაც არ კმარა
საქმისთვის ყველაფერადა,
თუ მას თან არ სდევს გონება,
აზრინობა მცველდა!..
რომ საქმე საქმეს ემგზავსოს,
არ გახდეს ხათაბელადა,—
კატები არის საჭირო
თავგების დასაქერადა,
თორემ საერთო სავაჭრო
ვაი თუ გახდეს მტვერდა!..
რატომ არ ფიქრობთ იმაზე,
რომ არეულა დავთარი
და „კასამ“ მერე გადმოვკათ
სამოკდა ხუთი ქანქარი?!
თუ „თეთრი ჩეკის“ ბრაღია
„ყვითელში“ შენაცვალეები...
ნეტავ ვიცოდე ამ დროს-კი,
სად არის თქვენი თვალები?..
ესთქვით, რომ ეს ასე არ არის,
ტყვილია დანაბრაღები...

(რასაც რომ ხშირად მიმართავს მართლის თქმით განამწარები) მაშ თქვენ მიჩვენეთ ამ ფულის შემოსავალი კარები!..

მე-კი ერთს ვიტყვი—აღარც თქვენ,

აღარც მე ვავეწვადები, —

ორში ერთია: (მიფიცავს

საწყალი მამის ძვლები)

ან ღუქანია ზარალში,

ან ხალხი განატყავები!..

თუ პირველია, მერწმუნეთ,

არ ვარგა თქვენი თავები!..

და თუ მეორე—ხალხისთვის,

რათ არ გაქვთ განაცხადები?!.

ბათუმში სხვაც არს საქმენი,

კარგი რამ სანახევები,

მარა ჯერ დარჩეს მიწაში

ჩაფლული ძაღლის თავები!..

კმარა ეს, ეხლა შეეჩერდეთ,

ქამანჩავ, გენაცვალები

სიფრთხილს თავი არ სტკივა,

შეგინარჩუნოთ ძვლები,

ბლიკვადეს სახლში უყურდლოთ,

მე კედელს ავეფარები!..

მარუა.

მონსენეპა

ბ. ხალხიწო. (სენ. მარა). ამ ბოლო დროს აქ საშინელი ამბები დატრიალდა. ვიღაცა „თაქიან-მა“ „მარის“ 25 ნომერში ადგილობრივ მასწავლებლებს პილიბილი შეაქამა. იმაზე ატყდა აურზაური. ადგილობრივი ქაჯთა რაზმი დაინტერესდა გაეგო საქმის სინამდვილე

ამ მიზნით არჩეულ იქნა კომისია, რომელიც საქმეს ფიცხლავ შეუდგა.

პირველად ყოვლისა გამტყუნებულ იქნა ბ-ნი „თაქიანი“, რადგან მან 27 კაცის მაგივრად დაასახელა 25 კაცი ჩვეულებრივ იანშამზე დამსწრეთ (სახეში უნდა გვექონდეს, რომ ეანშამი გამართა მის მაღალ კურთხევამ ბ-ნ სამკითხველომ). კორესპონდენტს მიუსჯავს, მანამდე არაფერი აქამონ გარდა ქაჩხუნულ კალმახისა, სინამ ის არ დაასახელებს

იმ ორ პირს, რომელიც მან კაცთა რიცხვიდან გამოარიცხა. იმედია, რომ სასჯელის სისრულეში მოყვანა გაუჭირდებათ, რადგან ეს იმას ეფუძნება დღემდე ველარ იტყვის და ამდენი კალმახის დაქერა ცოტა არ იყოს აღკრძალულია...

— ადგილობრივ ინტელიგენციის მეოხებით სოფლის სხვა და სხვა ქუჩებში ბიბლიოთეკის დაარსდა განყოფილებები და სახაჭაპურო პუნქტები!..

ლორთოტო.

დიდი ჯიხიში. (მოხუცა გლეხის სიმღერა).

ჩვენს სოფელში ველარ ნახავთ ახალგაზრდა მშრომელ გლეხსა, ვინც თესავდა, ვინც რომ მკიდა ვინც იქნევდა მარჯვეთ ხელსა.

ვინც ქვეყანას აპურებდა, გვიანხავდა ჩვენც ბებრებსა, ვინც რომ თავის ნაოფლორით ეწეოდა ბერებს, მღვდლებსა,

ასუქებდა მამასახლისს, სოფლის მწერლებს და ჩარჩებსა, სოფლის მახინჯ აბლაკატებს, ნაძირალებს ქვეყნის მტრებსა.

მე ჩემს შიმშილს არ დავებებ, კუჭი ეწვისთ სახლში რძობებსა, შინ ბაღნები ტყუპინობენ, სიმშობისგან ღვრიან ცრემლსა.

საიქიოს გავზავარებულს გზირი მიქნევს კარზედ ხელსა, გზის საკეთებლათ მიმიწვევს ბებერსა და მარტო ხელსა.

სხვა წოდებას ვინ რას კადრებს: ჩვენ უკეთებთ ყველას გზებსა ჩემი შვილი ომში არის, ვაქრის შვილი სახლში წევსა.

დალოცვილი ეს ქანქარი, აბა ვის არ შეაცდენსა? სამოთხის კარებს გავიღებს თუ გადასცემ მგვარებსა.

ღღეს რთველია, დიად რთველი იმის, ვინც რომ საქმეს სჯისა, სათავეში თუ კი უდგას გახსნილია ჯიბის ქისა.

ბარე ორსა მეც კი ვიცნობ ქუთაისში ბატონ კაცსა,

რომ ქანჭრებით ჯიბებს ივსებს
სახლებს სქიმავს სამს ალაგსა.

ბრმასა თვალებს აუხილავს,
თვალებს უშუებს ნამდვილ საღსა,
ყველა იცნობს, მაგრამ მითხარ,
ვინ გაბედავს აბა თქმას?

ასე არის ეს ქვეყანა,
დღეს მდიდარი ღარიბს სქამსა,
და ღარიბი ითმენს, ითმენს,
სიმშლიისგან სულს ღაფავსა.

კიკოლა ბიჭი.



ტელეფონთან.

ბარიშნა! ჩემი თავი ნუ მოგიკვდება და დედა
ნუ მოგიკვდება, ერთი გერვასი ღვდლის ოთახ-
ში დარეკე. რაი ბოშო? ნომერი ვითხრა? იმე?
რისი ნუმერი გინდა თუ ღმერთი გწამს, რავე წუ-
ღას კი არა ვთხოვ! რაიო? ტელეფონის ნუმერი?
ხოო! უკაცრავათ, უკაცრავათ, ჩიტუნია. ნუმერი
23 და 43. გატოვო? შენ თუ ვინმემ მიგატოვა
თვარა მე არავის მიუტოვებვიარ. რაიო? პოვარი
ლაპარაკობს? რას ბოღავ ბოშო შენ? პოვარი კი
არა გერვასი მინდა, რა დროს პოვარი და ლაქიაა
ექსტრენი საქმე მაქვს! რაიო? გერვასის პოვარი
ხარ! ხოო! აბა ერთი შენ ხაზენის დოუბახე ერთ
წამს, დიდი საქმე მაქვს, „მეგობრის“ რედაქციამ
გამომგზავნა თქო. რაიო? გერვასი ბ—თაშვილი
ხარ? ბოდიშს ვიხდი ბატონო, არა უკაცრავათ მა-
მაო გერვასი, რაღაცა ღვდლებთან არ მქონია საქ-
მე და მპატიეთ თუ მამაო არ ვითხრა, მე საყო-
ველთაათ ღვდლები მეზარება, მაგრამ „მეგობრის“
რედაქციის ბრალია, იმან მაიძულა თქვენთან საქმე
მქონოდა. რა საჭქვით? ცოტა დრო გაქვსთ და თა-
ნაც არ საჭიროებთ ჩემთან ლაპარაკს? იმე! მოი-
ცადე ბოშო! რედაქციამ შემოთავაზლა აღარ გვცა-
ლია შენი წერილები დაგბეჭდონ, შენ და ბესა-
რიონი როგორმე შინაურულათ გამოსწორდითო.

რა ქენი მამაო? ჩამოკიდე ტრუბკა! არ მომიკვდეს
ჩემი თავი არ მგონებია თუ ღვდლებზე ასე მოუთ-
მენარი იყვენენ.

ბარიშნა! ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ნუმერი არ
ვიცი და უნდა როგორმე შემეერთოთ ბესარიონ
ვ—ის ყურთან. რაიო? ბესარიონის ნუმერი იცი
როგორც გამოჩენილი მექონის? ძალიან კარგ
ბარიშნა! აბა შემეერთე თუ გიყვარდე. რაიო? ბე-
სარიონის ბიჭი ხარ? კაკიტა ხარ შენ? გამარჯობა
შენი? რა შეგბი როგორა ხარ? ისე ხარ როგორც
სტამბოლის კაცი? კაი დავგებართოს. კაკიტა, ერთი
თუ კაცი ხარ ბესარიონს დაუძახე ტელეფონთან.
რაიო? კარხავეტილია და ისე მითხრა ვინც დამი-
ძახოს უთხარი სახლში არ არისო? თუ იცი კაკი-
ტა, რას აკეთებს? რაიო? რაღაცას წერავს? გერვა-
სის შესახებ რედაქციაში უნდა გავზავნოს წერილი?
იმე! რავე ბოშო! შავს და გერვასის უნდა მარტო
მთელი ვაზეთები აპურდონ? რა ქენი ბიჭო? „ბატ-
ბოი“ მომეცი? ი! შეგარცხვინა ღმერთმა.

ბარიშნა, გავათავე ლაპარაკი და მადლობას
გწირავ, რომ მეტი არ შეიძლება. რაიო? „პოშოლ
კიორტუო“? ჩორტთანაც წადი და არც არა იცი რა.

შალვა გორისელი.

სამკლუპიარო განცხადება.

ულრმეს მწუხარებასა ქვეშე მყოფნი: გამგეობა,
საბუჟო და სარევიზიო კომისია (ურევიზიო) ქანჭრის,
(უკრედიტო) საკრედიტო ამხანაგობისა. გამგეობა
ნუ (დომხალი) ბიბლიოთეკა (უგაზეთო) საქითხვე-
ლოისა. გამგეობა მომხმარებელი საზ. (მველებური
უმოქმედების) „განახლებისა“. ფოშტა (მისი ახალი
პროფესიის განყოფილებით). დაბის მდამიო ანუ
(თავიანთი ჯიბის დეპუტატები) სისუფთავის წინა-
აღმდეგ არსებული ანტისანიტარული კომისიები.
მასწავლებლები ანუ (მაწავლებლები) თავიანთი შა-
გირდებით. ვაჭრები და ხელოსნები (გარდა მეკუ-
ბოებისა) რკინის გზის სადგური ანუ (ბნელები
უფსკრული). ერი და ბერი, (გარდა მღვდლებისა)
ქალი და კაცი, დიდი და პატარა. ვაუწყებთ, ნაც-
ნობ და ნათესავთ აკაკის სახელობაზე სათეატრო
შენობის ასახებ ფულების შემგროვებელ კომისია-
თა უცერივ გარდაცვალებას. პირველის ძმის, მეო-
რის დის, მესამის მამის, მეოთხის რძლის, მეხუთის

ბებიასი, მეექვსის ბაბუსა, მეშვიდის და მერვის ნათლისა.

დასაფლავების დღედ დანიშნულია 18 აპრილი დღითი კვირა. მიცვალებულს გამოასვენებენ სათავტრო შენობიდან და წაასვენებენ „წმიდა ბარბარეს კარის“ ეკლესიაზე (იმ მოსაზრებით, რომ იქ სანთლები ძალზე გიაფდა) პანაშვიდის გადახდის შემდეგ წარმოითქმება მჭუხარე სიტყვები, რის შემდეგ პროცესია დაიძვრის სასაფლაოსაკენ და მეორე რიგი სიტყვების შემდეგ — დაუვიწყარ ცხედარს მიიბარებენ სამეგრელოს **პანთეონს**. სადაც განზრახვა აქვთ დაიძვროს ყველა სამეგრელოში გარდაცვლილი საზოგადო მოღვაწე.

ბ. ეშმაკო! ზემოხსენებული მიცვალებული ადგ. ექიმების გამოკვლევით გადამდგმა სენმა იმსხვერპლა, რაიც ჩვენს საზოგადო მოღვაწეებში დღითი დღე ებიდემიურ ხასიათს იღებს. აი ამ გარემოებამ გვაიძულა, აქ დაგვეარსებია მულმივი დამკრძალავი კომიტეტი. ეს „სამელოგიარო განცხადება“ შეადგინა და გადმოშვა ხსენებულმა კომიტეტმა თქვენი ჟურნალისათვის. კომიტეტი ხალი-სიანთ ასრულებს თავის მოვალეობას. და მომავალიც კარგი ექნება. დღეიდან იმედი იქონიე, რომ მზგავსი განცხადებები მუდამ ექნება თქვენ ჟურნალს.

მჭუხარებით აღსავსე **მათრახანი**.

წერილი რედაქციას.

ბ-ნ იასონ კახიანის საპასუხით.

„ეშმაკის მათრახის“ №-ში ჩემ მიერ მოთავსებულ გამოცანას, ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩაუყენებია იმავე სასტუმროში მყოფი ხელზე მოსამსახურე იას. კახიანი და თავის დასაკლავ და-ნის ძებნა დაუწყებინებია. ბ-ნო იასონ! 1915 წ. დეკემბრის შვა რიცხვებში თქვენ შემხდლით მარი-ნის ქუჩაზე და სხვათა შორის მიიმეტე: „ჩვენს ხა-ზეინებს 118 მ. აქვს ჩვენ შორის შეგროვილი წყ. დ. დაზ—ბულთა სასარგებლოთ და არ აგზავნიანო“. ეს თქვენ სტკვით თქვენი პატიოსანი პირით, რა-საც ისმენდა ორი ჩვენი ნაცნობი, რომლებიც ამ ლაპარაკზე წამოგვესწრენ. მეც გამოვიკვლიე რა ეს

ამბავი სხვებთანაც, აღმოჩნდა, რომ ხაზეინი წინა-დადებას აძლევდა მოსამსახურეებს მოეხებულ 118 მანეთიდან ნახევარს მე დავიტოვებ დაკარგული ფრატეს და დამტვრეულ ქურტლებში, დანარჩენს გავგზავნიო. ამის შემდეგ კიდევ ორი თვე გასულიყო, მაგრამ ფული მაინც არ გავგზავნა. ამან მე მდიუტრებია, რომ ფულები სასტ. პატრ. მიისა-კუთარა, რისთვისაც 21 დეკემბერს წერილი გავგზავნე „ეშმაკის მათრახის“ რედაქციაში. ამის შემდეგ თქვენ ამხანაგებთან უმპაყოფილებმა მოგვიდა და ყოველივე ამბავი რედ—ში კორესპოდენტის შესახებ, რომლის გამოგზავნა სხვებთან ერთად თქვენც იცოდო, ხაზეინს მოახსენეთ იმის შიშით, რომ ჩემზე არ აიღოს ევეიო და იმ ფულის გავგზავნაც თვით იკისრე თითქო ფულები თქვენთან ყოფილიყოს. აი ასეთი უმსკავსოა ჩაიღენეთ ბ-ნო იასონ! დღეს კი გამოსულხართ და სხვის მაგიერ მედიატორში მიწვევ. თქვენი ასეთი მოქმედებისათვის პასუხს აგებ ბათ. ხელზე მოსამსახურებთან, ხოლო რაც შეეხება ჩემსა და ბ-ნ სასტუმროს პატრონის შორის სამედიატორო სასამართლოს—მოახსენე ბ-ნო ვეკილო, რომ სიამოვნებით გავყობი. *)

ისკანდერ.

*) ეს წერილი რომ თავიდან ბოლომდე სინამდვილე ვემოწმები იგივე სასტუმროში ნამყოფი ხელზე მოსამსახურე დათხოვილი იმის გამო, რომ იასონისებური როლის შესრულება ვერ ვიკისრე ე. ი. ვერ დაუმოწმე ბ-ნ ხაზეინს რომ ხსენებული ფული მის დაღში არ ყოფილიყოს, არაფერი სკოდნოდეს და ფული არ შეეჩრებინოს, დღი ხნით.

არტემ გეგენავა.



ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეჭმაკის მათრასი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეჭმაკი და თავუნა**,
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 2 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.

„ეჭმაკის მათრასში“ დაიბეჭდება მწოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარალები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

♦ **ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.**

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе,
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეჭმაკის მათრასისათვის)



*) ეს ადგილი კონფერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმადვიწყებს მოვადონებთ, რომ
♦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ♦



პლასსრული აღაშიანის ტანჯვისა!

სუსუნაბის წაელოგა.

ნ წელიწადი გვიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბქოს ნებართვით № 1295, სუსუნაბის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავთმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მიქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მიძღვეს, პრეპარატი „რაპიდი“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „რაპიდი“-ის პრეპარატი წამლობის შემდეგ სუსუნაბი რომ არ მორჩენილიყოს ამისთანა შემთხვევა არ არის, ამისათვის გადაჭრით ვცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილი საშუალებით სამ კვირაში წამლობა საქმარისა სუსუნაბის მოსარჩენათ, და „რაპიდი“-ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩითვალოს.

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნაბის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპარდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ექვის თვალით შეხედონ ჩემს წამალსაც. — ამ შემთხვევაში მამოს უკრალღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რა ჩემი რწმენა „რაპიდი“-ის უებრობაში და ჩემი დაბრება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „რაპიდი“-ის როს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანედ დაუბრუნებ.

ნიმუში ჩემის ხელწერილისა: „მე, ამისა ქვემოთ ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვიძღვე ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მიყიდე რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნაბის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოკი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჭრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დაეუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვითავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დეჟანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სახარგეილოდ.

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდი“-ისათვის, რომელმაც ერთბაშით ჩქონია კარგი გავლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დავრწმუნდი, განმეორებით გიხდით მადლობას.

ნოვგოროდა 14 მარტი, 1914 წ.

პ. ნ. პ. ნ.

წამლობის სრულ კურსის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. გაგზავნით და ფასდაღებით ათი მანეთი. ფასდაღებით გაიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованиями и заказами обращаться исключительно кавказское отделение Московской Лаборатории М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушкинская 3 отд. 3/м. верхний этаж.

უგანათლებულეს თავ. პეტრე გრუზინსკის
 ძეგლის პროექტი



უზომოთ მადლიერმა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა ძეგლი აუგოს თავის პრეზიდენტს თავ. პეტრე გრუზინსკის იმ ენერგიულ მოღვაწეობისთვის, რომელიც მან გოგირდის გაყიდვის საქმეში გასწია. ძეგლის პროექტების კონკურსში „ესე მათრაზაც“ მიიღო მონაწილეობა. ჩვენი პროექტი თიურბი საუკეთესოთ იცხო და მოკლე დროში ალექსანდრეს ბაღს დაამშვენებს ეს შვენიერი ნაწარმოები ქანდაკურ ხელოვნებისა.